



21.12.2014

"ვაკის პარკი კვლავ დასაცავია"

ახალი ამბები



ეკა მაღალდაძე

შეუერთდი განხილვას



პარტიზანი მებრძოლები და ის მოქალაქეები, რომლებიც გასულ წელს ვაკის პარკში სასტუმრო „ბუდაპეშტის“

მშენებლობას ეწინააღმდეგებოდნენ, ვარაუდობენ, რომ კერძო კომპანიისგან პარკის დაცვა კვლავ ფიზიკურად მოუწევთ. როგორც ამბობენ, ამის საფუძველს მათ კომპანიის წარმომადგენელთა მხრიდან გაკეთებული განცხადებები აძლევს.

18 დეკემბერს ვაკის პარკში სასტუმროს მშენებლობის სამართლებრივ დასაშვებობაზე სასამართლო სხდომა გაიმართა. ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა“, „პარტიზანი მებაღეები“ და თეა კუჭუხიძე-„უსაფრთხო სივრცე“ თბილისში, ჭავჭავაძის N68-ში დაგეგმილი სასტუმროს მშენებლობასთან დაკავშირებით გამოცემული აქტების ბათილად ცნობას ითხოვენ.

„მწვანე ალტერნატივასა“ და „პარტიზანი მებაღეების“ სარჩელები გაერთიანდა, სასამართლო კვლავ ფიქრობს თეა კუჭუხიძის სარჩელის მათთან გაერთიანებაზე. სამივე სარჩელი სასამართლოში 2014 წლის გაზაფხულზე შევიდა. სასამართლო კვლავ მოსამზადებელ ეტაპზეა და საქმის არსებითი განხილვა არ დაწყებულა.

თეა კუჭუხიძე ერთ-ერთი მოსარჩელეა, რომელიც 18 დეკემბრის სხდომას ესწრებოდა .

„ნაკვეთის მფლობელი კომპანია "ტიფლის კოსტავას" წარმომადგენელმა, რომელიც სასამართლომ მესამე მხარედ ჩართო, სხდომაზე თქვა, რომ ამ მიწის ნაკვეთს ყიდიან, ახალი მფლობელი იქნება ყაზახური კომპანია, რომელიც ორშაბათიდან განაახლებს სასტუმროს მშენებლობას“, - ამბობს კუჭუხიძე „ლიბერალთან“ საუბრისას და აქვე იმ ეჭვებზეც საუბრობს, რომელიც ნაკვეთის შესაძლო გასხვისებასთან დაკავშირებით ჩნდება.

კუჭუხიძის თქმით, გაუგებარია იმ კომპანიის მოტივი, რომელიც ამ ტერიტორიას შეიძენს.

„ასეთი პრობლემური ნაკვეთი, რომელზეც სამი სარჩელია სასამართლოში შეტანილი,

ამავე თემაზე

დედაქალაქი პარტიზანების იმედად

"მე ვიცავ ვაკის პარკს"

დაიცავს ახალი კანონი თბილისის მწვანე ნარგავებს?

"სასტუმრო ჟანგბადს არ გამოყოფს" - აქცია ვაკის პარკში მშენებლობის წინააღმდეგ

ჭავჭავაძის N68 - ვაკის პარკია თუ არა?

"დაიკავე ვაკის პარკი" (ვიდეო)

"მე ვიცავ ვაკის პარკს" - დღე მეთოთხმეტე

„ბუდაპეშტთან“ კვლავ ბარიკადებია და „პარტიზანების“ მორიგეობა გრძელდება

"თუ ამ ბრძოლასაც წავაგებთ, ჩვენ წავაგებთ ქალაქს!" - ზურაბ ბაქრაძე

"პარტიზანი" ღამეები ვაკის პარკში (ვიდეო)

ბიძინა გიორგობიანის მწვანე წონასწორობა

პროექტი, რომელსაც ამხელა საზოგადოებრივი პროტესტი უპირისპირდება, უცნაურია, რატომ უნდა გახდეს კერძო კომპანიისთვის მაინც საინტერესო? რამდენადაც ჩემთვისაა ცნობილი, კომპანიის მესაკუთრის სიმამრი მუშაობს ყაზახეთში და ფლობს გარკვეულ ბიზნესს. ამიტომ ვვარაუდობთ, რომ ისევ ოჯახურ წრეში მოხდება გადათამაშება, შესაძლოა ნაკვეთი გაიყიდოს უფრო დიდ ფასად და შემდეგ მერიისგან უფრო მაღალი კომპენსაცია მოითხოვონ", - ამბობს კუჭუხიძე.

როგორც კომპანიის წარმომადგენლებმა სასამართლოზე განაცხადეს, მათ მერიისგან მიიღეს ადგილმონაცვლეობის შემოთავაზება, თუმცა ის ნაკვეთი მათთვის მიუღებელი აღმოჩნდა.

ერთ-ერთი პარტიზანი მეზაღე, თემურ კალანდაძე, რომელიც მერიაში სპეციალურად შექმნილი - პრობლემურ მშენებლობათა კომისიის წევრია, ამბობს, რომ ესწრებოდა კომპანიისა და მერიის წარმომადგენლების შეხვედრას და კონკრეტულ ნაკვეთზე საუბარი არ ყოფილა, მერიამ მათ უბრალოდ ადგილმონაცვლეობის შესაძლებლობა გააცნო.

თუმცა კომპანია „ტიფლის კოსტავას“ წარმომადგენლები ამბობენ, რომ დამაკმაყოფილებელი ადგილმონაცვლეობისა და კომპენსაციის შემთხვევაში, შესაძლოა მომდევნო ქმედებები შეიცვალოს.

თეა კუჭუხიძე ფიქრობს, რომ გაუგებარია ამ პროცესში მერიის პოზიციაც, რადგან პროცესი ჭიანჭურდება, მერია საბოლოოდ თითქოს სასამართლოს გადაწყვეტილებას ელოდება, სასამართლო კი, სავარაუდოდ, მერიის გადაწყვეტილების მოლოდინში იწელება, მარტამდე კი არავინ იცის რა მოხდება.

„თუკი მანამდე მშენებლობა განახლდა და ვაკის პარკში ტექნიკას შეიყვანენ, იგივე განმეორდება, რაც შარშან ხდებოდა. ვიქნებით უფრო ფხიზლად და კვლავ არ შევუშვებთ ამ ტერიტორიაზე“, - ამბობს კუჭუხიძე.

ვაკის პარკში სასტუმრო "ბუდაპეშტის" მშენებლობა დაახლოებით ერთი წლის წინ უნდა დაწყებულიყო, თუმცა მოქალაქეების ნაწილი ტერიტორიაზე სამშენებლო ტექნიკის შეყვანას ფიზიკურად ეწინააღმდეგებოდა. რამდენიმე თვის განმავლობაში პარკში მორიგეობა იყო დაწესებული, რათა სამუშაოების განახლების შემთხვევაში, მობილიზება მომხდარიყო.

მერიის კომისიის მუშაობას ეჭვით უყურებს პარტიზანი მეზაღე ნატა ფერაძეც.

„მერიის მუშაობაც ბუტაფორიულია, მხოლოდ იმის საჩვენებლად, რომ ამ თემაზე მუშაობენ. პრობლემური ობიექტების ნუსხაში მხოლოდ სამი - ვაკის პარკი, ასათიანის პარკი და დიღმის ტყე-პარკი შეიტანეს და იმაზეც არაფერი გადაწყვეტილა. ყველა შეკრება იწყება და მთავრდება იმით, რომ მერია შეიმუშავებს რეკომენდაციებს და წარუდგენს ინვესტორს, მაგრამ მათ გათვალისწინებაზე პასუხისმგებლობას აღარ იღებს. როგორც ჩანს, მერია არ აპირებს გამოიყენოს იურიდიული ბერკეტები, რომლებითაც ასეთ მშენებლობებს შეაჩერებდა“, - ამბობს ფერაძე.

მერიის პოზიციაზე საუბრისას ნატა ფერაძე იხსენებს, რომ გაუგებარია, როგორ ეცდება მერია, მაგალითად, ასათიანის პარკის გადარჩენას მაშინ, როდესაც საინიციატივო ჯგუფთან სასამართლო დავაში დამარცხებულმა მერიამ, გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

როგორც ფერაძე ამბობს, 20 დეკემბერს გარემოსდამცველი ორგანიზაციები, გაერთიანებები, საინიციატივო ჯგუფების წარმომადგენლები ახალ სტრატეგიაზე შეთანხმდნენ. ისინი ყველა პრობლემური ობიექტის დაცვას გაერთიანებული ძალებით აპირებენ.

„გადავდივართ ინტენსიურ და აგრესიულ მოთხოვნებზე. ჩვენ ერთად მოვითხოვთ მორატორიუმს ჯერ არდაწყებულ მშენებლობებზე. თუმცა პროექტების ნაწილს ასე ვერ შევაჩერებთ და ამიტომ, შევადგენთ ცალკე ნუსხას, რომელთა შესაჩერებლადაც მთავრობის ნება იქნება საჭირო. მანამდე კი მზად ვართ განგაშისთვის, პარკში ტექნიკის შეყვანისთანავე, ხალხის სრული მობილიზაცია მოხდება“, - ამბობს პარტიზანი მებაღე.

სასამართლომ კი უნდა იმსჯელოს, ცნოს თუ არა ბათილად თბილისის მერის 2013 წლის 24 ივლისის #1592 განკარგულებისა და სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 20 სექტემბრის #909795 ბრძანება.

2013 წლის 24 ივლისის #1592 განკარგულებით თბილისის მერმა დაამტკიცა ქ. თბილისში ი. ჭავჭავაძის გამზ. #68-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე სასტუმროს განთავსების მიზნით სპეციალური (ზონალური) შეთანხმება, რომლითაც გაიზარდა ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები;

ხოლო, 2013 წლის 20 სექტემბრის #909795 ბრძანებით სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურმა ქ. თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზირი, #68-ში სასტუმროს მშენებლობის ნებართვა გასცა.

